# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N235/01/17

ქ. ბოლნისი                                                                                    31 ოქტომბერი    2017 წელი

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის დავით შერაზადიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბიგვი 789" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გურიელ წიფიანის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT170011514** ელექტონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " ( შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. "ტექნიკური დავალება" – **NAT170011514** ელექტონული ტენედერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 **ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში წყაროს რეაბილიტაციის სამუშაოები (CPV45200000)**

2,2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

## 3. სტანდარტები და ხარისხი

3.1 სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს როგორც პროექტის, ისე საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **46162,78 (ორმოცდაექვსიათას ას სამოცდაორი ლარი და 78 თეთრი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა -- დანართი №1

შემსყიდველი                                                                                    მიმწოდებელი

## 5 ანგარიშწორების ფორმა და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

5.3 წინასწარი ანგარისწორების მექანიზმი -- არ გამოიყენება.

5.4 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად არანაკლებ 10000 ლარის შესრულებულ სამუშაოზე.

5.5 ეტაპობრივი ანგარიშწორება განხორციელდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა N2-ის მიხედვით შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ ამ მიზნებისათვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირის (ინსპექტირების ორგანოს) - შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე (მიმწოდებლის მიერ შუალედური ფორმა #2 წარედგინება შემსყიდველს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ისთვის გადაცემას. მაქსიმალური ვადა პრეტენდენტის მიერ შუალედური ფორმა N2-ის წარმოდგენიდან დასკვნის გაცემამდე --16 კალენდარული დღე. დასკვნის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი), მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელისმოწერის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.6 საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა N2-ის მიხედვით შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ ამ მიზნებისათვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირის (ინსპექტირების ორგანოს) - შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე (მიმწოდებლის მიერ საბოლოო ფორმა #2 წარედგინება შემსყიდველს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ისთვის გადაცემას. მაქსიმალური ვადა პრეტენდენტის მიერ შუალედური ფორმა N2-ის წარმოდგენიდან დასკვნის გაცემამდე --16 კალენდარული დღე. დასკვნის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი), მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელისმოწერის, ბოლნისის მუნიციპალიტეტში შექმნილი შენობა-ნაგებობების (ინფრასტრუქტურული სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტები) ექსპლუატაციაში მიმღები მუდმივმოქმედი კომისიასა და მიმწოდებელს შორის აქტის ხელმოწერის, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის, სატენდერო დოკუმენტაციის 1,6 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში მოთხოვნილი საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი გარანტიის წარმოდგენისა და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემთხვევაში, შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს შესაბამისი რაოდენობის თანხის გადახდიდის -- შემდეგ --- 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6 მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესრულებული სამუშაოს საბოლოო მოცულობები დადგინდება შემსყიდველის მიერ ამ მიზნებისათვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირის (ინსპექტირების ორგანოს) - შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ის მიერ მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

6.2 შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივი მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშფაქტურისა და ფორმა N2-ის მიხედვით შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ ამ მიზნებისათვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირის (ინსპექტირების ორგანოს) - შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელისმოწერის შემდეგ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6.3 შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშფაქტურისა და ფორმა N2-ის მიხედვით შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ ამ მიზნებისათვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირის (ინსპექტირების ორგანოს) - შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელისმოწერისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში შექმნილი შენობა-ნაგებობების (ინფრასტრუქტურული სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტები) ექსპლუატაციაში მიმღები მუდმივმოქმედი კომისიასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული აქტის შემდეგ.

6.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - **ნიკა ავქოფაშვილი** ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

## 7 სამუშაოს შესრულების პირობები

7.1 სამუშაოს შესრულების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარული დღე. **(2017 წლის 01 ნოემბრიდან -- 2017 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით)** სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი -- დანართი N2

## 8 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**8.1 შემსყიდველი ვალდებულია:**

8.1.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.1.2.სამუშაოების შესრულების პროცესში საქმის ყურში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.1.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

8.1.4.წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

**8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:**

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 ხელი მოაწეროს სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტს.

8.2.3 მოითხოვოს გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები, ლაბორტორიული კვლევის შედეგები/დასკვნები, აგრეთვე შესყიდვის და ობიექტამდე ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

8.2.4 მოითხოვოს მიმწოდებლისგან ობიექტიდან სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**8.3.მიმწოდებელი ვალდებულია:**

8.3.1.დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2 სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მოქმედი ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების შესაბამისად. (ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

8,3,3 აწარმოოს სამუშაოს შესრულების პროცესში საქართველოში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტებით მოთხოვნილი საშემსრულებლო დოკუმენტაცია,

8.3.4.სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.3.5.სამუშაოს განხორციელების პროცესში მის ჩაბარებამდე მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1.მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

## 9 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ამ მიზნებისათვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირი (ინსპექტირების ორგანო) -- შპს „ოპტიმალ გრუპ +“.

9.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.

9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10 პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 12 ფორს მაჟორი

12.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

12.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

12.4გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.5თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობები

14.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადაა სამშენებლო სამუშაოების ჩაბარებიდან (შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირის (ინსპექტირების ორგანოს) - შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის მიერ გაცემული საბოლოო დასკვნის გაცემიდან) 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოზე წარმოქმნილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.

14.2 შესრულებულ სამუშაოზე შესაბამისი საბოლოო დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 15 კალენდარულ დღეში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს სამუშაოს შესრულების საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს სრული ღირებულების **2,5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადაც მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 14.1 პუნქტში განსაზღვრულ ვადას (დეფექტების ან/და ნაკლების პასუხისმგებლობის პერიოდი -- დასრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე შესაბამისი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან ერთი წელი).

14.3 ხელშეკრულების 14.1 პუნქტში გაწერილ ვადებში (20 კალენდარულ დღე) შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 14.2 პუნქტში მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი საბანკო გარანტია სრულად.

14,4 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი 2,5 %-ზე მეტი ოდნობით, მიმწოდბელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15,1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს:

15.1.1 ხელშეკრულების ყველა მუხლისათვის, გარდა მე-14 მუხლისა -- 2018 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

15.1.2 ხელშეკრულების მე-14 მუხლისათვის -- 2019 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

## 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

16.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერის შემდეგ.

## 17. რეკვიზიტები

*შემსყიდველი:*

**ბოლნისის მუნიციპალიტეტი**
**მის:** ქ.ბოლნისი, სს ორბელიანის ქ.N 106
**ს/კ** 225393963
**მიმღები** ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
**ბანკის** კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი GE24NB0330100200165022

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
დავით შერაზადიშვილი

*მიმწოდებელი:*

**შპს „ბიგვი 789"**
ბოლნისის რ-ნი, სოფ. ტანძია
ს/კ 215133102

სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ანგარიშის ნომერი GE89BG0000000354091500

დირექტორი
გურამ წიფიანი

# ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბოლნისი 31 ოქტომბერი 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-5 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ **NAT170011514** ელექტონული *ტენდერში ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში წყაროს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის (ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა)* განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ნიკა ავქოფაშვილი: ნ. ავ